პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 89 (13771)

შაბათი, 15 აპრილი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

შრომითს ვახტზე

ნარმატებით დგას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი. ზესტაფონელმა მეტალურგებმა გადაწყვიტეს დიდი რაოდენობით გამოუშვან ფეროშენადნობი. ეს იქნება საჩუქარი ჩვენი სახელმწიფოს ღირსშესანიშნავი თარიღისათვის.

საიუბილეო ვახტს სათავეში უდგანან ახალგაზრდა მეტალურგები. ერთი მათგანია კომკავშირელი ო. ქათამაძე. იგი ახლახან მოვიდა საწარმოში და უკვე მოასწრო მოწინავე მეტალურგის სახელი მოეპოვებინა. იგი ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მაღალი ხარისხის ფეროშენადნობს უშვებს. სურათზე: ო. ქათამაძე.

ფოტო ლ. რიონელისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის და საწარმოთა მუშაობის შედეგების გაუმჯობესებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებისათვის სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა მეურნეობანი, ჯიშთსანაშენო მეურნეობანი და ცხენთსაშენები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სანერგეები, სასოფლო-სამეურნეო საცდელი და სასწავლო-საცდელი მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები თანდათანობით გადაყვანილ იქნან სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი მეურნეობანი უზრუნველყოფენ მთელი საწარმოო დანახარჯების ანაზღაურებას, შემდგომი გაფართოებული კვლავწარმოების განხორციელებას (საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დაბანდებანი, სადგამი ჯოგის შექმნა, საკუთარ საბრუნავ საშუალებათა მატება და სხვ.), ეკონომიური სტიმულირების ფონდებისა და სხვა ფონდების შექმნას, აგრეთვე ბანკის კრედიტების დროულად დაბრუნებას საკუთარი სახსრების ხარჯზე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით ცდის წესით 1967 წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანოს 390 საბჭოთა მეურნეობა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო.

დადგენილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, უნდა ანაზღაურდეს შესასყიდი ფასებითა და კოლმეურნეობებისათვის დაწესებული დანამატებით. სავაჭრო ქსელისა და უშუალოდ მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიყიდვისას დატოვებული რეალიზაციის მოქმედი წესი და ანგარიშსწორების პირობები საბჭოთა მეურნეობებისა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს გააფართოონ იმ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობა, რომლებიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადადიან, და ამასთან დაკავშირებით შეამცირონ ამ მეურნეობებისათვის ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული გეგმის მაჩვენებლები. დაუტოვონ შემდეგი მაჩვენებლები:

წარმოებაში — იმ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა ნატურალური გამოხატულებით, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, ხოლო სპეციალიზებულ მეურნეობებში, გარდა ამისა, — შესაბამის სახეობათა პროდუქციის (სანაშენო მოზარდეული, ჯიშიანი თესლი, სარგავი მასალა და სხვ.) მიყიდვის მოცულობა;

შრომაში — ხელფასის საერთო ფონდი;

ფინანსებში — მოგების საერთო თანხა, ბიუჯეტის ასიგნობანი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების გადასახდელი;

ამასთანავე გათვალისწინებულია, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაგეგმილი მოგების საერთო თანხას განსაზღვრავენ ეს მეურნეობანი და ამტკიცებს ზემდგომი ორგანო. ამ მეურნეობებისათვის აღნიშნული წესით დამტკიცებულ მოგების თანხას ითვალისწინებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს;

კაპიტალურ დაბანდებებში — ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, და ძირითადი ფონდების ამოქმედება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ფულადი გამოხატულებით;

მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში — ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოწყობილობის, სასუქების, საშენ მასალათა და წარმოების სხვა საშუალებათა მიწოდების მოცულობა, რომლებსაც ზემდგომი ორგანიზაცია ანაწილებს.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საწარმოთა გეგმების დანარჩენ მაჩვენებლებს ზემდგომი ორგანიზაციები არ ამტკიცებენ. ამ მაჩვენებლებს ადგენენ თვით საწარმოები და საგეგმო ორგანოები იყენებენ გაანგარიშების მასალად გეგმების შედგენისას.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაინტერესება, რათა უკეთ გამოიყენონ ძირითადი საწარმოო ფონდები, დადგენილია, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საწარმოებს ფაქტიურად მიღებული მოგებიდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ბიუჯეტში შეაქვთ გადასახდელი ამ ფონდების ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით (გარდა პროდუქტიული და მუშა საქონლისა და მრავალწლოვანი ნარგავების ღირებულებისა). აღნიშნული საწარმოები არ იხდიან მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის ხარჯზე შექმნილი ძირითადი საწარმოო ფონდების გადასახდელს ორი წლის განმავლობაში და ბანკის კრედიტებს — სესხის დაფარვამდე, აგრეთვე იმ საწარმოების (საამქროები, უბნები, დანადგარები) საცდელ წარმოებათა ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის, რომლებიც მომსახურებას უწევენ შესაბამის დარგს. საწარმოები, რომელთა რენტაბელობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების 25 პროცენტზე ნაკლებია, თავისუფლდებიან ფონდებისათვის გადასახდელისაგან.

დადგინდა, რომ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობის განსაზღვრის შემდეგ ანარიცხებს აწარმოებენ მოგების საერთო თანხიდან:

მატერიალური წახალისების ფონდში დაგეგმილი მოგებიდან — 15 პროცენტს, ზეგეგმითი მოგებიდან კი ანარიცხების აღნიშნული ნორმა ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით მცირდება 50 პროცენტამდე, იმ ანგარიშით, რომ ანარიცხების საერთო თანხა არ აღემატებოდეს ხელფასის წლიური ფონდის 12 პროცენტს;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში — 10 პროცენტს;

სადაზღვევო ფონდში — 20 პროცენტს;

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში — 10 პროცენტს.

მოგების დანარჩენი ნაწილი ხმარდება სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების დარგში პრემიების გადახდას, საკუთარი საბრუნავი სახსრების მატების დაფინანსებას, სადგამი ჯოგის შექმნას, ბანკის კრედიტების დაფარვას, ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ზარალისა და სხვა ხარჯების დაფარვას.

გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლებიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე არიან გადაყვანილი, მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი იქმნება მოგების ანარიცხების, ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის ხარჯზე, აგრეთვე გამოკლებული და ზედმეტი ქონების — ძირითადი ფონდების რეალიზაციით მიღებული ამონაგების ხარჯზე, გარდა პირუტყვის წუნდებით მიღებული სახსრებისა, რომლებიც ხმარდება სადგამი ჯოგის შექმნის ხარჯების დაფინანსებას. აღნიშნული ფონდისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობას განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების 30 პროცენტამდე ოდენობით.

საამორტიზაციო ანარიცხების, სადგამი ჯოგის პირუტყვის წუნდებით მიღებული სახსრების, მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის, აგრეთვე მეურნეობათა განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წელიწადში და არ უნდა ჩამოერთვას საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, საოლქო, სამხარეო სამმართველოებსა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს საქვეუწყვებო საწარმოებში აქვთ მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების ოდენობის დიფერენციაციის უფლება, ისეთი ანგარიშით, რომ მატერიალური წახალისების საერთო ფონდი არ აღემატებოდეს იმ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოგებიდან ანარიცხების 15 პროცენტს, რომლებიც გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე, საშუალოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სამხარეო, საოლქო სამმართველოსა და ტრესტში, და ხელფასის წლიური ფონდის 12 პროცენტს — თვითეულ საწარმოში.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება აქვთ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გადაანაწილონ მატერიალური წახალისების ფონდისა და

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ქარგია, რკინიგზელებო!

მხარს უჭერენ პატრიოტულ თაოსნობას!

მზადდებიან რა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები გაუხუჩელად იდგებენ პროდუქციის გამოშვებას. ასევე განუხრელად იზრდება იმ ტვირთის ნაკადი, რომელიც ფოლადის მაგისტრალებით გადაადგთ. რკინიგზელთა წინაშე დასახულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — მთლიანად დააკმაყოფილონ მზარდი მოთხოვნები გადაზიდვაზე, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ლოკომოტივები და ვაგონები, აამოქმედონ ახალი რეზერვები.

მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინეს ვოლგისპირეთის მაგისტრალის რკინიგზელებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს მთელი ზეგეგმითი პროდუქცია, რასაც ვოლგისპირეთის მშრომელები გამოიშუშავებენ საიუბილეო წელს, გადაზიდონ ვაგონების რიცხვის გაუდიდებლად. ამისათვის მათ გადაწყვიტეს დააჩქარონ ვაგონების ბრუნვა, შეამცირონ ცარიელი გარბენი, უფრო სრულად დატვირთონ ვაგონები.

ამ პატრიოტულ ინიციატივას მხურვალედ დაუჭირა მხარი ამიერკავკასიის მაგისტრალის სამტრედიის განყოფილების კოლექტივმა. საიუბილეო წლის პირველ კვარტალში სამტრედიელებმა 102 პროცენტით შეასრულეს ვაგონების ბრუნვის გეგმა, ვაგონების მწარმოებლობის გეგმა შეასრულეს 101 პროცენტით, საუბნო სიჩქარის ნორმა კი 105 პროცენტით. ამან სამტრედიელებს საშუალება მისცა დღე-ღამეში გაეთავისუფლებინათ დაახლოებით 200 ვაგონი.

ამ დღეებში სამტრედიის განყოფილების კოლექტივმა გადასინჯა წინათ ნაკისრი ვალდებულებანი და გადაწყვიტა ყოველ დღე-ღამეში გაათავისუფლონ 220 ვაგონი. ეს მიღწეული იქნება 0,5 საათით ვაგონების ბრუნვის დაჩქარების, აგრეთვე მათი ტვირთამწეობის უკეთ გამოყენების გზით.

დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინა აგრეთვე დასავლეთ ციმბირის რკინიგზის მოსკოვკის დეპოს კოლექტივმა, რომელმაც გადაწყვიტა მაქსიმალურად შეამციროს ვაგონების ღემა რემონტის დროს. შეგაგონებმა, რომლებმაც დანერგეს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ორმოცი პროცენტითა და მეტად შეამციროს რემონტის დრო, მკვეთრად გაადიდეს ვაგონების გამოშვება იმავე საწარმოო ფართობებზე.

თბილისის სავაგონო დეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა გამოიყენოს მოსკოვკის დეპოს გამოცდილება. კოლექტივის კრებაზე ნაკისრია ვალდებულებანი — მნიშვნელოვნად გაადიდონ სატვირთო ვაგონების გამოშვება სადეპოო რემონტიდან შეამცირონ უწესივრო სატვირთო ვაგონების საერთო მოცდენა 3 საათით; შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 15 პროცენტით და სხვ.

რკინიგზის სამტრედიის განყოფილებისა და თბილისის სავაგონო დეპოს კოლექტივებმა მოუწოდეს ამიერკავკასიის ყველა სარანსპორტო საწარმოს გააფართოონ მოძრაობა მოძრავი შემადგენლობის საუკეთესოდ ექსპლოატაციისათვის, დანერგონ მუშაობის პროგრესული ფორმები და მეთოდები. (საქდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა არმიის გენერალ ბ. ლომსკის

14 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრს არმიის გენერალ ბოგუმირ ლომსკის, რომელიც არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირში.

საუბრის დროს განიხილეს მთელი რიგი ურთიერთ საინტერესო საკითხები.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად

14 აპრილს გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის მოსამზადებელი კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე, რომელმაც ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ აბორიკელებენ რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებებს.

რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ღონისძიებანი, — თქვა შ. კიკნაძემ, — რომლებიც ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ნახევარი საუკუნის იუბილესათვის მზადებას, დაამტკიცა რესპუბლიკის პროფსაბჭოს VI პლენუმმა და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. პროფკავშირული ორგანიზაციები სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ყველგან ფართოდ გაიშალა ოქტომბრის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომ ვადამდე შეასრულებენ ხუთწლედის მეორე წლის გეგმას. კიდევ უფრო გაძლიერდა მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. ამ მოძრაობაში მონაწილეობს სახალხო მეურნეობის ყოველი მესამე მუშაკი, ხოლო ყოველი მეშვიდე — კომუნისტური შრომის დამკვრელია. 8 ათასი ბრიგადა, 1.200 საამქრო, 87 საწარმო კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებას ატარებს. შემუშავებული და დამტკიცებულია სახოფლო და სადამო საბჭოების შეჯიბრების პირობები, სამახსოვრო საიუბილეო სამკერდე ნიშნების მიღების უფლების პირობები და დებულება საიუბილეო სახალხო პატივის წიგნის შესახებ. დაწესდება საიუბილეო დროშები, რომლებიც სამუდამოდ გადაეცემა ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებს.

საიუბილეო შეჯიბრების დროს დაიწყო მონათესავე საწარმოთა და ცალკეულ მოწინავეთა ურთიერთგამოძახება როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იგი მიმდინარეობს დევიზით — „ღირსეულად შეეხვედროთ ოქტომბერს“.

სახიბარულოა საიუბილეო შეჯიბრების პირველი შედეგები. პირველი კვარტალის გეგმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმატებით მიმდინარეობს შეჯიბრება 35-მილიონანი საიუბილეო ფონდის შექმნისათვის; რესპუბლიკის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა ამ ფონდში უკვე 25 მილიონი მანეთი შეიტანეს.

21 აპრილს გაიმართება პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელიც მიეძღვნება მუშა-მოსამსახურეთა 5-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლას.

ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თვითმოქმედი ხელოვნების ფესტივალი. ფესტივალის დღეებში თვითმოქმედების მონაწილეთა რიცხვი 10 ათასით გაიზარდა და ფესტივალში მონაწილეობს 86 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე და მოსწავლე.

წარმატებით ჩაიარა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებათა ორმა ტურმა საწარმოებში, რაიონებში, ქალაქებსა და საოლქო ცენტრებში. I და II ტურების შედეგების მიხედვით საუკეთესო კოლექტივები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ ფესტივალში.

მარტში გაიმართა სახალხო თეატრების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელშიც 23 კოლექტივი მონაწილეობდა. პირველი პრემიები მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სახალხო თეატრს და ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სახალხოს სახალხო თეატრს.

აპრილში მოეწყობა მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივების ფესტივალი. მაისში — კინომოყვარულთა ფილმების რესპუბლიკური დათვალიერება. რესპუბლიკის კინომოყვარულთა რამდენიმე ფილმი შეარჩია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ხელმძღვანელობამ და ნაჩვენები იქნება საკავშირო პროფსაბჭოს პავილიონ „შრომა და დასვენებაში“. პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების საუკეთესო კოლექტივები გამოვლენ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „საქართველოს სსრ კვირეულის“ დროს.

საიუბილეო წელს დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა საზაფხულო დასვენებას. მომდინარე წელს 90 ქალაქგარეთა და 20 ქალაქის პიონერთა ბანაკში არდადეგებს გაატარებს 62 ათასზე მეტი ბავშვი, 10 ათასით მეტი, ვიდრე შარშან. არდადეგებისგან თავისუფალ დროს პიონერთა ბანაკებს გამოიყენებენ მშრომელთა ორი დღის დასვენების ბაზებად.

ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში მოეწყობა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა. სპარტაკიადის ფინალური ნაწილის პროგრამით გათვალისწინებულია სპორტის 23 სახეობის წარმომადგენელთა გამოსვლები. ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკის 544 სპორტსმენი.

წლის დამდეგიდან შრომითი და რევოლუციური დიდების ადგილებში ექსკურსიები მოაწყო 280 ათასზე მეტმა კაცმა. თბილისში ჩამოვიდა 55 საექსკურსიო მატარებელი, რომლებიც მოემსახურა რესპუბლიკის 25 ათასამდე მშრომელს. ზაფხულში რესპუბლიკის საკურორტო ადგილებში იქნიან „ჯანმრთელობის მატარებლები“.

საიუბილეოდ გაიხსნება ტურისტული ბაზები თელავსა და ბაკურიანში, ახალი სანაძინებელი კორპუსები მიემატება ახალი ათონის, სოხუმისა და მწვანე კონცის მოქმედ ტურისტულ ბაზებს.

მშენებლები საიუბილეოდ საექსკლოატაციოდ ჩააბარებენ შავი ზღვის სანაპიროს უდიდეს საკურორტო კომპლექსს „ბიჭვინთას“, სადაც 3.000 ადგილია. გაგრასა და მენჯში გაიხსნება წყალსამკურნალოები. ციხისძირში, მწვანე კონცხზე, შოვსა და უწერაში დამთავრდება წყალსადენების მშენებლობა.

დიდი სამუშაოები წარმოებს კურორტების ტერიტორიის კეთილმოწყობისა და მათი მხატვრულ-დეკორატიული გაფორმებისათვის.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები, თქვა დასასრულ ამხ. კიკნაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებითა და მხარდაჭერით ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ ღონისძიებანი დიდი ოქტომბრის ნახევარი საუკუნის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. კონცელიძემ პლენუმს მოახსენა, თუ როგორ ემზადებიან რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ოქტომბრის იუბილესათვის. მან თქვა, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა დაამტკიცა ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებით გათვალისწინებულია უწინარეს ყოვლისა კომკავშირელებისა და ახალგაზრდების, პიონერებისა და მოსწავლეების აღზრდა შრომითი, და რევოლუციური ტრადიციების შესაბამისად.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრა ნიშნავს ვამრავლოთ მოპოვებული წარმატებანი. უფრო მნიშვნელოვანი გავხადოთ ახალგაზრდობის წვლილი სახალხო მეურნეობაში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოწოდებით რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში „ჩვენი შრომითი საჩუქარი იუბილეს“.

ფართოდ გავრცელდა კომკავშირელთა და ახალგაზრდათა პატრიოტული მოძრაობა იმ უფლებისათვის, რომ ეწოდებოდეთ ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივები, ატარონ თანამემამულე გმირთა სახელი. საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება 1.500 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რგოლი, ცვლა, ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი.

თითქმის ყველა სამრეწველო საწარმოში და მშენებლობებზე ახალგაზრდა მუშებმა გაიჩინეს ეკონომიისა და მომჭირნეობის „პირადი ანგარიშები“ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ფონდში.

ახალგაზრდათა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად დიდი მოსამზადებელი სამუშაო გასწიეს დიმიტროვის სახელობის, კიროვის სახელობის ქარხნების, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და სხვა საწარმოთა კომკავშირის კომიტეტებმა.

სოციალისტურ ვალდებულებებში მთავარი ყურადღება ეთმობა შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი თვითღირებულების შემცირების, შრომის სოციალისტური დისციპლინის დანერგვის საკითხებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო წითელი დროშა და უფლება პრემია საქალაქო და რაიონული კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც ყველაზე დიდი წარმატებანი მოიპოვეს დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებაში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ, წარადგენენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო საიუბილეო ნიშნებით დასაჯილდოებლად. დაწესებულია აგრეთვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი ალმები მეევნახეთა, მეჩაიეთა, მებაღეთა, მშენებელთა და ახალგაზრდა საწარმოო მუშაკთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადებისა და რგოლების შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობის პროფესიული ოსტატობის სრულყოფასა და წარმოების ზუსტ ორგანიზაციას, საიუბილეო წელს კვლავ ახორციელებს რესპუბლიკური შეჯიბრების პრაქტიკას. ეწყობა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მშრომელთა თათბირები პროფესიების მიხედვით, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მოწინავეთა და ნოვატორთა შეკრებები.

რესპუბლიკის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს წარმოებაში შრომის კულტურის სრულიად საკავშირო დათვალიერებაში.

კომკავშირული ორგანიზაციები კვლავაც დიდი ყურადღებით მოეკიდებიან ყოფაცხოვრების სამსახურის გაუმჯობესებას სოფლად, შეუფობას გაუწევენ მომსახურების სფეროს ობიექტების მშენებლობასა და მათს დაკომპლექტებას ახალგაზრდა კვალიფიციური კადრებით. კერძოდ, გადაწყვეტილია, რომ 500 ქალიშვილსა და ჭაბუკს გაგზავნიან რესპუბლიკის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობებზე.

ოქტომბრის იუბილეს ღირსეულად შეხვედრა ნიშნავს კიდევ უფრო განვუმტკიცოთ ახალგაზრდებს მარქსისტული მსოფლმხედველობა, პატრიოტიზმის გრძნობა და საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება. კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ამოცანას ასრულებენ, განზრახული აქვთ უფრო ფართოდ ჩაბაბან შემოქმედი და სოფლის ინტელიგენცია ახალგაზრდობის ცოდნის დონის ამაღლების საქმეში. 26 აპრილს ქუთაისში გაიმართება სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის შეკრება. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემები, განიხილეს ბაკურიანში რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედ მუშაკთა მეორე სემინარზე.

აქტიურად ემზადებიან ოქტომბრის იუბილესათვის ქართველი სტუდენტები, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს წარჩინებული სწავლა შეუთავსონ საზოგადოებრივ მუშაობას. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები განაგრძობენ ტრადიციას — აქტიურად მონაწილეობენ უყმირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. საქართველოს სტუდენტშენებელთა რაზმი შევა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის უყმირეთა ახალთახლინი სრულიად საკავშირო რაზმის შემადგენლობაში. 400 ქართველი სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს ჩრდილოეთ უაზახეთის ოლქის სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და სკოლების მშენებლობაში.

რესპუბლიკის სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სტუდენტთა მეცნიერული ნაშრომების სრულიად საკავშირო კონკურსში. ეს ნაშრომები იქნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა, სრულიად საკავშირო ალკკ-სა და საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობის ისტორიის პრობლემებზე.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — მოამზადონ საქართველოს ნაკრები გუნდები სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის. ეს მომზადება უნდა გახდეს რესპუბლიკაში მასობრივი სპორტული მოძრაობის შემდგომი განვითარების სტიმული.

საიუბილეო წელს საქართველოს კომკავშირი პირველად დაასახელებს საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიების ლაურეატებს ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში.

საიუბილეო წელს მოეწყობა ამიერკავკასიის ახალგაზრდათა მეგობრობის კვირეულები, ამიერკავკასიის ლიტერატურათა დეკადები. მოეწყობა ახალგაზრდა მხატვართა ამიერკავკასიის გამოფენა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდა კინოშუშაკთა შემოქმედების დათვალიერება. (საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

(დასასრული)

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო-მშენებლობის ფონდის სახსრები თვითეული ფონდის საერთო თანხის 20 პროცენტის ფარგლებში.

დადგინდა, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა მატერიალური წახალისება მატერიალური წახალისების ფონდიდან წარმოებს იმ პრემიების დამატებით, რომლებიც დადგენილია შრომის ანაზღაურებისა და პრემირების შესახებ მოქმედი დებულებებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი უნდა დაფინანსდეს შემდეგი წყაროებიდან:

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებათა და მოწყობილობის შეძენისათვის, საწარმოო ობიექტების მშენებლობისათვის და საწარმოო დანიშნულების სხვა კაპიტალური დაბანდებანი — მოგებიდან, ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხებიდან და სხვა საკუთარი სახსრებიდან, ხოლო ამ სახსრების ნაკლებობისას ცალკეულ წლებში აგრეთვე გრძელვადიანი კრედიტის ხარჯზე, რომელსაც ბანკი იძლევა კოლმეურნეობებისათვის დაწესებული ვადითა და პირობებით.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად და სადგამი ჯოგის შესაქმნელად ეძლევათ მოკლევადიანი კრედიტი ზემოაღნიშნული მიზნებისათვის განკუთვნილი დაგეგმილი მოგების ოდენობით, რაც უნდა დაფარონ წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული მოგებისა და სადაზღვევო ფონდის სახსრების ხარჯზე. თუ მეურნეობებმა მათი საწარმოო საქმიანობისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მიიღეს კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილი დაგეგმილი მოგება, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მათი შუამდგომლობით ეძლევათ გრძელვადიანი კრედიტი ხუთ წლამდე ვადით;

საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებების, კლუბების, აბანოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო. დანიშნულების სხვა ობიექტების, სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობათა, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისათვის, აგრეთვე სხვა ხარჯებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად — სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან;

ახალი საწარმოების, მეფრინველეობის ფაბრიკების, სათბურ-კვალსათბურის კომბინატებისა და ღორის ხორცის, რძისა და მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სხვა პროდუქტების საწარმოო კომპლექსების მშენებლობისათვის — სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და იმ მოგების ხარჯზე, რომელსაც სხვა საწარმოებისაგან იღებენ გადანაწილების წესით.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ნორმატივების მატება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამ საწარმოთა მოგებით, სხვა საკუთარი წყაროებითა და ბანკის კრედიტებით.

პროდუქტიული და მუშა პირუტყვის სადგამი ჯოგის შექმნის დანახარჯები უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საკუთარი სახსრებით (მოგება, დაწუნებული პირუტყვის რეალიზაციით მიღებული ამონაგები და სხვ.), ხოლო ამ სახსრების ნაკლებობისას — ბანკის კრედიტით ორ წლამდე ვადით.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილმა საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა სახელმწიფო გეგმის შესრულებისას დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტონ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხები, კერძოდ:

დაგეგმონ წარმოების მოცულობა ზემდგომი ორგანოების მიერ საწარმოებისათვის მიკუთვნილ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის საგეგმო დავალებათა, აგრეთვე დამამზადებელ, სავაჭრო, გამსაღებელ ორგანიზაციებსა და სამრეწველო საწარმოებთან მეურნეობების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ამასთან გათვალისწინონ ზეგეგმითი პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობანი;

დაგეგმონ შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება, მუშაკთა რიცხვი და განსაზღვრონ საწარმოს მართვის ყველაზე რაციონალური სტრუქტურა;

გაწეული ხარჯებისა და პროდუქციის წარმოების კვალობაზე გამოიყენონ წინა კვარტალებში მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომია ხელფასის გასასტიმრებლად მომდევნო კვარტალებში, აგრეთვე ისესხონ მომდევნო კვარტალების სახსრები ხელფასის გასასტიმრებლად წლიური ფონდის ფარგლებში;

განსაზღვრონ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების რიცხვი.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც ვერ ინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ საშუალებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი ნაკლებობა მეურნეობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით არის გამოწვეული, მოვალენი არიან საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისი აანაზღაურონ ისეთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებითი მოგების მიღებას შემდგომ პერიოდებში, საჭირორების შემთხვევაში კი დროებით (ორ წლამდე) შეაფერხონ მოგების ანარიცხები მეურნეობათა ფონდებში 30 პროცენტამდე ოდენობით. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ეძლევათ კრედიტი ორ წლამდე ვადით საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დროებით შესავსებად.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ეძლევათ:

გრძელვადიანი კრედიტი საწარმოო დანიშნულების ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისათვის კოლმეურნეობებისათვის დადგენილი ვადებითა და პირობებით, აგრეთვე მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრების ხარჯზე განხორციელებული კაპიტალური დაბანდებებისათვის, როცა ეს სახსრები საკმარისი არ არის დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. კრედიტი უნდა დაიფაროს ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდან ექვსი წლის განმავლობაში;

კრედიტი საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, როცა მეურნეობებს არ ჰყოფნით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები, მაგრამ მშენებლობის დაწყებისას აქვთ ამისათვის საჭირო სახსრების სულ ცოტა 50 პროცენტი. კრედიტი უნდა დაფარონ ორ წლამდე ვადაში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში შემოსული სახსრების ხარჯზე;

კრედიტი ახალი ტექნიკის, მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა და წარმოების ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მოწყობის და ხარისხის გაუმჯობესების ხარჯებისათვის ექვს წლამდე ვადით პირველი სესხის გაცემის დღიდან, იმ პირობით, რომ ხარჯები ანაზღაურდეს ამ ვადის ფარგლებში დაკრედიტებულ ღონისძიებათა განხორციელებით მიღებული მოგების (ეკონომიის) ხარჯზე;

ძოკლევადიანი კრედიტი წარმოების სეზონური ხარჯების დასაფარავად და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შესაქმნელად საწარმოო-საფინანსო გეგმის შესაბამისად, ამასთან მეურნეობამ უნდა დააბუსტოს შესაბამისი კვარტალის შემოსავალ-გასავალი;

სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება ერთ წლამდე იმ შემთხვევებში, როცა ცალკეულმა საწარმოებმა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ დააბრუნეს კრედიტი დადგენილ ვადებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, რაიონულ აღმასკომებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

საჭირო დახმარება გაუწიონ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლაში და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სამეურნეო-საანგარიშო ურთიერთობის ზუსტად დაცვისათვის;

ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარებას წარმოების ეკონომიურ, ყაირათიან გაძღოლაში, არ დაუშვან სხვა ორგანიზაციების ჩარევა მათს მიმდინარე საწარმოო საქმიანობაში.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები და სპეციალისტები მოვალენი არიან საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე მიაღწიონ მაღი მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, ყოველნაირად სრულყონ წარმოების ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაცია, რათა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება, მისი თვითღირებულების შემცირება და საწარმოთა რენტაბელობისა და მომგებიანობის გადიდება.

ვაჭრული ცხოვრება

□ **პარტბიუროს ინიციატივა და ახალგაზრდობის აღზრდა.** □ **საინტერესო შეხვედრები თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივში.** □ **ახალგაზრდობის კაფე „შუქნიშანი“.** □ **კონკურსები, ლიტერატურული დისკუსიები, ათმისტის კვირეულები.**

ერთხელ თბილისის სატვირთო სადგურის პარტიულ ბიუროში ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ ცუდი არ იქნებოდა პარტორგანიზაციის მუშაობის გეგმებში გაეთვალისწინებინათ შეხვედრები შრომის ვეტერანებთან. ეს შეხვედრები, რომლებიც უკვე თავისთავად საინტერესოა, კომუნისტების აზრით, კიდევ უფრო დადმნშვნელოვანი გახდება იმის გამო, რომ კოლექტივში დიდ აღმზრდელობითს და დამრაზმავ როლს შეასრულებს, განსაკუთრებით იმ პერიოდებში, როცა სადგურზე შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებია და იქმნება დაბრკოლებები საწარმოო გეგმებისა და დავალებების შესრულებაში.

— შრომის ვეტერანები, — თქვა პარტიის წევრმა ა. ჩადრანოვმა, — ახალგაზრდა მუშაკებს რომ შეხვდებიან, გადასცემენ მათ თავიანთ მუშაობის მდიდარ გამოცდილებას, მოუწოდებენ უფრო ენერგიულად იშრომონ, გაძლიერებენ ადამიანთა პასუხისმგებლობას წარმოებაში საქმის მდგომარეობისათვის.

— ძალიან კარგია, — ხალისით დეთანხმა ამ წინადადებას თბილისის სატვირთო სადგურის პარტბიუროს მდივანი ო. თოლორაია. — მალე 35 წელი შესრულდება, რაც ჩვენი ძველი მუშაკი — მატარებლების შემდგენელი იმნაშვილი უმწიკვლოდ მუშაობს ტრანსპორტზე. ასეთი შეხვედრების მოწყობა სწორედ მასთან შეხვედრით დავიწყოთ.

ყოველი ღონისძიება, მათ შორის ვეტერანებთან ახალგაზრდა მუშაკების შეხვედრაც, სხვადასხვანაირად შეიძლება განახორციელო. შეიძლება საქმეს შემოქმედებითად მიუდგე, მასში სიცოცხლე შეიტანო, და შეიძლება უსულგულოდაც გააკეთო, ასე ვთქვათ, ანგარიშისათვის — შეკრიბო ადამიანები წითელ კუთხეში, მოასმენინო მოხსენება მოწინავის ცხოვრებისა და შრომითი გზის შესახებ, შემდეგ კი დაიშალონ.

სადგურის პარტიულ ბიუროში გაითვალისწინეს კომუნისტების წინადადების მთელი მნიშვნელობა, აგრეთვე სადგურის მთელ რიგ ობიექტებზე შექმნილი ვითარება — შესამჩნევი ჩამორჩენა დატვირთვისა და განტვირთვის გეგმის შესრულებაში, გადაწყვიტეს გვერდი აეარა ლოთ შაბლონისათვის და მატარებლების ნარჩენებულ. შემდგენლებთან, დისპეტჩერებთან, მწონავებთან ახალგაზრდობის შეხვედრებისათვის მიეცათ საგულისხმო ხასიათი, საზოგადოებრივი ელერადობა.

ასეც მოიქცნენ. პარტბიუროს გამოჩაყო კომისია იმისათვის, რომ მოეწყოთ ახალგაზრდობის შეხვედრა მატარებლების მოწინავე შემდგენელ ი. ს. იმნაშვილთან. დაბეჭდეს მისაწვევი ბილეთები მოწინავის პორტრეტით და ბილეთებში მსხვილი შრიფტით გამოყვეს სიტყვები: „**გთხოვთ მოგრძანდეთ შეხვედრაზე შრომის ვეტერან ი. ს. იმნაიშვილთან, რომელმაც ტრანსპორტზე 35 წელიწადს იმუშავა**“. კლუბი ლამაზად გააფორმეს, მხატვრული თვითმოქმედების რეპერტუარში შეიტანეს სიმღერები შრომაზე. ზოგიერთი ეს სიმღერა ადგილობრივმა პოეტებმა უშუალოდ იმ ადამიანს მიუძღვნეს, რომელსაც ამ საზეიმო საღამოს ხვდებოდნენ.

შრომის ვეტერანთან ახალგაზრდობის ამ შეხვედრაზე არ ყოფილა ოფიციალური მოხსენება მოწინავის ცხოვრების გზის შესახებ. იყო თვით ი. იმნაიშვილის საგულისხმო გამოსვლა. იგი შესაძლოა ოდნავ ელავდა, მაგრამ შეკრებილთ უამბო, თუ როგორ მიაღწია წარმატებებს. ეს წარმატებები კი მნიშვნელოვანია. შვიდწლეულის განმავლობაში მან ხომ ჩქაროსნული მეთოდებით შეადგინა სახალხო-სამეურნეო ტვირთების 10 ათასზე მეტი მატარებელი და დაზოგა 90 ათასამდე ვაგონ-საათი. შემდეგ კი მამობრივი გულკეთილობითა და სერიოზულობით უსურვა ახალგაზრდა მუშაკებს წმიდად დაიცვან და ამრავლონ უფროსი თაობის ადამიანთა შრომითი და საბრძოლო ტრადიციები, ღირსეულად აგრძონ საბჭოთა რკინიგზელის წოდება.

ამ შეხვედრის შემდეგ, როგორც ახალ პარტიულ ბიუროში ამბობენ, შესამჩნევად გაძლიერდა ახალგაზრდა მუშაკთა შრომითი აქტივობა და დისციპლინა, გაიზარდა მათი სწრაფვა პარტიაში შესასვლელად.

ავიღოთ თუნდაც მეიხრე ი. დათუაშვილი. ის ხომ არაფრით არ გამოირჩეოდა ი. იმნაიშვილთან ამ შეხვედრამდე. მუშაობდა ისევე, როგორც ბევრი სხვა. ახლა კი იგი ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და საქმის მცოდნე მუშაკია, ცვლის დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს, მიღებულ იქნა სკკპ წევრობის კანდიდატად. იგივე შეიძლება ითქვას სადგურის მორიგე გ. შულდაძეზე, ოპერატორ მ. გელაშვილსა და სხვებზე.

შემდეგი საღამო პარტბიუროომ ადგილკომთან ერთად მიუძღვნა ახალგაზრდობის შეხვედრას არა ერთი, არამედ რამდენიმე მოწინავესთან. და ამ ღონისძიებამაც, უეჭველია, ბევრი რამ მოგვცა სასარგებლო, ვინაიდან განხორციელებულ იქნა სიყვარულით, გულმოდგინედ მომზადების შემდეგ. კვლავ სტამბაში დაბეჭდეს მისაწვევი ბილეთები სადგურის საუკეთესო ადამიანთა პორტრეტებით და თვითეულს გაუკეთეს მოკლე, მაგრამ მეტყველი ანოტაცია.

აი ერთი მათგანი:

„**სადგურის კოლექტივში დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს მწონავი ბორის შრანგიშვილი. მუშაობაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მას მიენიჭა ჩვენი ქვეყნის რკინიგზების საუკეთესო მწონავის წოდება. მისი სახელი შეგანილია გზაზეა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში**“.

ამ საღამოს უწოდეს „ახალგაზრდობის შეხვედრა ჩვენი ყოველდღიურობის გმირებთან“. და მართლაც, საღამოზე ახალგაზრდა რკინიგზელებს წარუდგინეს უკეთესთაგან უკეთესნი — სადგურის დასპეტჩერი ვ. ვერულავა, მატარებლების შემდგენელი ა. კაკაბაძე, მწონავი ბ. ფრანგიშვილი და სხვები. ესენი ყველანი ისეთი მუშაკები არიან, რომელთა ხმას ყურს უგდებს არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ხანში შესულნიც. მათს მაგალითს მუშაობაში ბაძავენ და მათთან შეხვედრას ყოველთვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, სარგებლობა მოაქვს წარმოებისათვის.

სწორედ ამით დაიწყო ყველაფერი. ახლა აქ არც ერთი ღონისძიება არ ხორციელდება, სანამ მას გულმოდგინედ არ მოამზადებენ და არ დარწმუნდებიან იმაში, რომ იგი საჭიროა, რომ თავის როლს შეასრულებს კოლექტივის სულიერ და შრომით ცხოვრებაში. მის ბრძოლაში გეგმის შესრულებისათვის, მაღალი შრომითი და საწარმოო დისციპლინისათვის.

უკანასკნელ ხანს თბილისის სატვირთო სადგურში ერთი უჩვეულო გარდაქმნა ხდება — მუშათა სასადილო თითქმის ყოველ შაბათ საღამოს იქცევა ახალგაზრდობის კაფედ, რომელსაც „შუქნიშანი“ ეწოდება. აქ, პარტბიუროსა და კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით, ბევრი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება: **აღინიშნება ახალგაზრდა მუშაკთა დაგადების დღეები, ხდება ახალგედების ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, აღინიშნება პირველი ხელფასის მიღების, პირველი შრომითი წარმატების დღეები. აქ ეწყობა კონკურსები მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა საუკეთესო სიმღერასა და ცეკვაზე. იმართება ლიტერატურული დისპუტები.** საერთოდ, ახალგაზრდობის კაფე „შუქნიშანი“ მხიარულთა და საზრიანთა თავისებური კლუბია, სადაც ყველაფერი საგულდაგულოდ კეთდება, ერთადერთი მიზნით — სიხარული მიანიჭონ ახალგაზრდობას, დაეხმარონ მას კულტურულად გაატაროს საღამო, მჭიდროდ დაუკავშირონ იგი სადგურის კოლექტივთან, რკინიგზის ტრანსპორტთან.

გინდვევთ საღამოზე...

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელოსაწყოთა ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავის შესახვედრად. საწარმოში ბევრმა ახალგაზრდამ ისახელა თავი. ერთი მათგანია ამწყობი ზეინკალი ვალერიან მოშაძე, რომელიც ხუთწლედის მეორე წლის პირველი დღიდან ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ამწყობი ზეინკალი ვ. გომაძე მუშაობის დროს.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ბარიერები რეფორმის გზაზე

ბროშვითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან ტყიბულელი მეშახტეები საიუბილეო თარიღისათვის. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ორჯონიკიძის სახელობის შახტში. ეს სამთო საწარმო ემზადება სამეურნეო რეფორმის გასატარებლად, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდება. აქ ვერ ნახავთ ისეთ მეშახტეს, რომელსაც არ აინტერესებდეს დაგეგმვის ახალი სისტემა და მატერიალური სტიმულირების დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ყველაფერი რიგზეა აქ? ერთი შეხედვით კი, მაგრამ მოდით ღრმად ჩავიხედოთ საქმის არსში.

ამას წინათ შახტის საგეგმო და სანორმადაო განყოფილების მუშაკებმა მოაგდინეს საორიენტაციო განაგარიშები, თვალი გადაავლეს ქვანახშირის მოპოვების ზრდის რეზერვებს. ზოგადად გამოთვალეს, თუ რა ოდენობის ფულადი ფონდი დასჭირდება შახტს მატერიალური ფასეულობისათვის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განსახორციელებლად და წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. ციფრებით დასტურდება, რომ ინჟინერ-ტექნიკოსთა, აგრეთვე მუშათა შრომითი ანაზღაურება ძნიშვნელოვნად გაიზრდება. სამთო ეკონომიკაში ჩახედული ადამიანები ლაპარაკობენ, რომ საეურნეო-რეფორმა სასურველ ნაყოფს გამოიღებს, იგი წარმატებით დაგვირგვინდება.

მეშახტეები არც იმას მალავენ, რომ საეურნეო რეფორმის ზღურბლზე ყველაფერი როდია წესრიგში. ჯერ კიდევ ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება უნდა გატარდეს, რათა წარმოებამ ანლებურად, დაიწყოს მუშაობა. ქვანახშირისათვის მებრძოლ ადამიანებს ბევრი პრობლემატური საკითხი აღელვებთ. საკითხების ერთი ნაწილის გადაჭრა თვით მეშახტეებზე არის დამოკიდებული. საკითხების მეორე ნაწილი კი ზემდგომმა ორგანოებმა უნდა მოაგვარონ.

შახტის უფროსის, სამთო ინჟინრის გ. ფანნულაძის კაბინეტში ვართ.

— როგორ არის თქვენს წარმოებაში რენტაბელობის საქმე?

— ჩვენ, მეშახტეებს, — ამბობს შახტის უფროსი, — ყველაზე მეტად რენტაბელობის საკითხი გვაღელვებს. ორჯონიკიძის **სახელობის** შახტი, ისე როგორც ბევრი სხვა სამთო საწარმო, არარენტაბელური ანუ ზარალიანი საწარმოა. პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი იმაზე ნაკლებია, ვიდრე თვით ამ პროდუქციის მოპოვება ჯდება.

შახტის უფროსმა ბლოკნოტი გამომიწოდა და ერთ-ერთ ჩანაწერზე მიმითითა. აი რაზე მეტყველებდა იგი: გასულ 1966 წელს არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოპოვებული ყოველი ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შედარებით იაფი არ დასჯდომოდა შახტს. ვიდრე იგი გეგმით არის გათვალისწინებული. ციფრები ლაპარაკობენ, რომ ტონა ქვანახშირის საქონლის წარმოების გაფართოებისა და მოწყობის და ხარისხის გაუმჯობესების ხარჯებისათვის ექვს წლამდე ვადით პირველი სესხის გაცემის დღიდან, იმ პირობით, რომ ხარჯები ანაზღაურდეს ამ ვადის ფარგლებში დაკრედიტებულ ღონისძიებათა განხორციელებით მიღებული მოგების (ეკონომიის) ხარჯზე:

ძოკლევადიანი კრედიტი წარმოების სეზონური ხარჯების დასაფარავად და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შესაქმნელად საწარმოო-საფინანსო გეგმის შესაბამისად, ამასთან მეურნეობამ უნდა დააბუსტოს შესაბამისი კვარტალის შემოსავალ-გასავალი;

სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება ერთ წლამდე იმ შემთხვევებში, როცა ცალკეულმა საწარმოებმა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ დააბრუნეს კრედიტი დადგენილ ვადებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, რაიონულ აღმასკომებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

საჭირო დახმარება გაუწიონ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლაში და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სამეურნეო-საანგარიშო ურთიერთობის ზუსტად დაცვისათვის;

ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარებას წარმოების ეკონომიურ, ყაირათიან გაძღოლაში, არ დაუშვან სხვა ორგანიზაციების ჩარევა მათს მიმდინარე საწარმოო საქმიანობაში.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები და სპეციალისტები მოვალენი არიან საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე მიაღწიონ მაღი მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, ყოველნაირად სრულყონ წარმოების ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაცია, რათა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება, მისი თვითღირებულების შემცირება და საწარმოთა რენტაბელობისა და მომგებიანობის გადიდება.

დანინაურებული

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა განსაღდებლად. რესპუბლიკის მრეველმა რაიონმა უკვე შეასრულა **სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები.** ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 10 აპრილის ცნობებით კახეთს რაიონად სახელმწიფოს მიჰყიდა 1967 წლის ანგარიშში გასულ წელს აღნიშნულ ჩაბარებულს ჩათვლით 3.323 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად ხახვარი წლის გეგმით გათვალისწინებული 3.050 ცენტნერისა. **ქალაქთის** რაიონმა — 3.249 ცენტნერი ნაცვლად 2.150 ცენტნერისა. **მცხეთის** რაიონს ჩაბარებული აქვს 2.038 ცენტნერი ნაცვლად 1.620 ცენტნერისა.

თიანეთის რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 195,9 პროცენტით. **წყალტუბოს** — 101,3 პროცენტით, **სამტრედიის** — 115,2 პროცენტით, **ვანის** — 117,6 პროცენტით, **ზესტაფონის** — 117,8 პროცენტით, **თერჯოლის** — 113,6 პროცენტით, **საჩხერის** რაიონმა — 142,5 პროცენტით. ასევე დიდი გადაკრბენით გაანალდეს ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმები **ონის, მახარაძის, ჩოხატაურის** რაიონებმა და **ტყიბულის** მეცხოველეებმა.

სახელმწიფოსთვის კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები გადაჭარბებით შესრულეს **ახალციხის, თეთრი წყაროს, წულუკიძის, ვანის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის** რაიონებმა; **ტყიბულისა** და **ჭიათურის** მშრომელებმა.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, შაბათი, 15 აპრილი, 1967 წ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პლენუმი

14 აპრილს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პლენუმი, რომელზეც შეიკრიბნენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საგრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები. პლენუმმა განიხილა საკითხი: საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციის შედეგები და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ამოცანები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

პლენუმი გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ა. გიგოშვილმა.

მოხსენება წაიკითხა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჟღენტმა, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ რა ფართო და ნაყოფიერია საზოგადოების საქმიანობა, გააშუქა საზოგადოების ახალი ამოცანები ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების, მშვიდობის დაცვაცად მათი შეკავშირების საქმეში.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ლიტერატურის სექციის პრეზიდენტი, ეუნონალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი პოეტი გ. აბაშიძე, საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის“ საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე მწერალი ვ. მაჭავარიანი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების კინოს სექციის ვიცე-პრეზიდენტი, კინორეჟისორი ნ. სანიშვილი, საზოგადოების აღმოსავლეთმცოდნეობის სექციის პრეზიდენტი პროფესორი დ. კობიძე, არქიტექტურის სექციის ვიცე-პრეზიდენტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. ჯანბერიძე. მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ კულტურული ურთიერთობა ხელს უწყობს ხალხთა შორის კარგი ურთიერთგაგების, მეგობრობისა და ნდობის დამყარებას.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება. (საქდესი).

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

დელი, 14 აპრილი. (საკდესი): ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველად უდევს ორი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საერთო პრინციპები და მიზნები — მეელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება, მშვიდობიანი თანაარსებობა, სადავო საკითხებისა და პრობლემების გადაჭრა მშვიდობიანი გზით. ეს ურთიერთობა ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია. ყოველნაირად უნდა განვავითაროთ და განვამტკიცოთ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა. საკეთილდღეოდ და კაცობრიობის პროგრესისა და მეელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის. ეს ხაზგასმით აღნიშნეს დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და ფინანსთა მინისტრმა მორარჯი დესაიმ, ინდოეთის პირველმა ელჩმა სსრ კავშირში ვიჯაია ლაქშმი პანდატმა, და სხვა ცნობილმა ინდოელმა მოღვაწეებმა ინდოეთის დედაქალაქში გამართულ მასობრივ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ინდოეთსა და სსრ კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავს. მიტინგზე დამსწრეთა ტაშის გრიალში წაიკითხეს მისასალმებელი წერილები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს ნ. ჯოდგორნნმ და რადჰაკრიშნანმა, ა. ნ. კოსიგინმა და ინდირა განდიმ.

სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები და მიტინგები გაიმართა ინდოეთის სხვა ქალაქებშიც, აგრეთვე საზარმოებში, რომლებიც ინდოეთში აშენდა ან შენდება საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარებით. დღევანდელი ბეჭური ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთი გამოვიდა სპეციალური დანართებით, რომლებიც ეძღვნება ინდოელი და საბჭოთა ხალხების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

„ᲕᲔᲡᲢ-ᲡᲐᲘᲓᲘᲡ“ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ნიუ-იორკი, 14 აპრილი; (საკდესი). გუშინ დღისით, მზისით ნიუ-იორკის ვესტ-საიდის საზღვაო ნავსადგურის მკაცრად დაცულ უბანში შევიდა ოთხი შეიარაღებული უცნობი, ზედიზედ განაიარაღა და შებოჭა მცველები და მიიმალა. თან წაიღო „სუვენირად“ ხის ყუთი, რომელშიც საზღვარგარეთ გასაგზავნი 620 ათასი დოლარი ღირებულების ფულადი დოკუმენტები იყო.

ვესტ-საიდის მსგავსი ამბები ხშირად მეორდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამავალითად, რამდენიმე დღით ადრე ნიუ-იორკის კენედის საერთაშორისო აეროპორტში მკაცრად დაცული შენობიდან სრულიად უადვილად გაქრა ჯერ 420 ათასი დოლარი, შემდეგ კი 40 ათასი დოლარი ღირებულების ოქროს ზოდი, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა გაეგზავნათ.

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ქურდობის, მკვლელობის, მარცხვნივ, გაუპატიურებისა და სხვა დანაშაულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს და ხელისუფალნი ამკარად აღიარებენ, რომ უძლური არიან შეაჩერონ ეს საშინელი პროცესი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ამას წინათ ნიუ-იორკში დამნაშავეობის შესახებ სატელევიზიო პროგრამების გადაცემის დროს ქალაქის ყველა გამოკითხულმა მცხოვრებმა ერთხმად აღიარა, რომ საღამოს რვა საათის შემდეგ ქუჩაში ვერ გამოსულან გაძარცვის, გაუპატიურების, ცემისა და მოკვლის შიშით.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პარიზი, 14 აპრილი. (საკდესი). მბარდი საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთში, ეროვნული კრების ამასწინანდელი არჩევნების შემდეგ, ნათქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა, იმის ახალი დადასტურებაა, რომ მშრომელნი გმობენ ანტისოციალურ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა და მეწარმენი ახორციელებენ. მშრომელთა მოთხოვნები, ხაზგასმულია განცხადებაში, კანონიერია, რადგან ეს მოთხოვნები შეეხება ხელფასის, დახმარებათა და პენსიების საერთო მომატებას, სრული დასაქმების გარანტიას, ხელფასის საერთო დონის დაწესებას, შრომის ანაზღაურებაში დისკრიმინაციის აღკვეთას, სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირებას ხელფასის შუამცირებლად, შრომის პირობების გაუმჯობესებას, პროფკავშირულ თავისუფლებათა პატივისცემას.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს მოგებათა გადიდებას და არამწარმოებლურ ხარჯებს იწვევს. საფრანგეთის შესვლამ საერთო ბაზარში, აღნიშნულია განცხადებაში, ვერ შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური პრობლემების გადაჭრას.

საფრანგეთის მუშათა კლასი, რომელიც იბრძვის თავისი უფლებებისათვის, ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერით და სულ უფრო მზარდი სოლიდარობით სარგებლობს. „საფრანგეთის კომუნისტური პარტია მის მხარეზეა“, — ნათქვამია დასასრულ საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ ᲞᲣᲜᲢᲐ-ᲓᲔᲚ-ᲔᲡᲢᲔᲡᲘ

პუნტა-დელ-ესტე (ურუგვაი), 14 აპრილი (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მთავრდება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების პრეზიდენტთა თათბირი.

პუნტა-დელ-ესტის თათბირზე მიღწეული შეთანხმება, რომ 1970 წლიდან შეიქმნას საერთო ლათინურ-ამერიკული ბაზარი.

როგორც ხელმოსაწერ დოკუმენტთა პროექტებიდან ჩანს, ამ დოკუმენტებში კონკრეტულად არ არის გადაჭრილი ისეთი საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად სინანულისა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის. ეს საკითხებია საგარეო ვაჭრობის გაფართოება თანაბარი უფლებებით, საქონლის სამართლიანი ფასების დაწესება, დახმარების გაწევა და სხვ. ამ საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უკისრიათ რამდენადმე სერიოზული ვალდებულებანი.

კოლუმბიის პრეზიდენტმა ლეერას რესტრეპომ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ დოკუმენტები, რომლებსაც დღეს ხელს მოაწერენ პრეზიდენტები“, არ არის საკმაოდ ნათელი“ და რომ ამ დოკუმენტებში „ეოტა რამ არის კონკრეტული საგარეო ვაჭრობის შესახებ“.

თუმცა თათბირის დღის წესრიგზე ეგრეთწოდებული „კონტინენტის უშიშროების“ საკითხი არ ყოფილა დასმული, ეს საკითხი განიხილეს პრეზიდენტებმა. ეს განცხადა პრეს-კონფერენციაზე კოლუმბიის პრეზიდენტმა. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე გამოთქვა სხვადასხვა აზრი: ზოგი მოითხოვდა ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შექმნას, ზოგმა მხოლოდ სურვილი გამოთქვა, რომ მოეწყოს ერთობლივი კონსულტაციები, ზოგიერთები კი დაჟარეთ უარყოფდნენ ასეთი ძალების შექმნის იდეას.

ისინი იცავდნენ ჩაურეკლობის პრინციპსა და თითოეული ქვეყნის უფლებას თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო პრობლემები.

ᲣᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

პარიზი, 13 აპრილი. (საკდესი). ამ ბოლო თვეებში საფრანგეთში მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა. სტატისტიკისა და ეკონომიური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის ცნობით, აპრილში საფრანგეთში იყო 344 ათასი უმუშევარი. განსაკუთრებით გაიზარდა უმუშევარ ახალგაზრდათა რიცხვი. საფრანგეთის ეკონომიური განვითარების მეხუთე გეგმით (1965-1970 წლები) გათვალისწინებულია, რომ წარმოების რეორგანიზაციისა და კონცენტრაციის, საწარმოთა მოდერნიზაციის სხვადასხვა ღონისძიებათა შედეგად უმუშევართა რიცხვი საფრანგეთში 600 ათასს მიაღწევს.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ბონი, 13 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მთავრობა წლითი წლობით სულ უფრო მეტ სახსრებს ხარჯავს „ატომური განვითარებისა და კვლევის“ დარგში სამუშაოთა წარმოებისათვის. როგორც დღეს წერს გაზეთი „ინდუსტრიკურირი“, მიმდინარე წელს „ატომური ენერგიის დარგში სამეცნიერო კვლევისათვის“ დახარჯება 570 მილიონი მარკა, ანუ 18 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

△ **შეერთებულმა შტატებმა** კვლავ მიმართეს მანევრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესიის განსაზღვრის საკითხის კომიტეტში. ბოლივიასთან ერთად მათ შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს კომიტეტის სხდომები გადაიდოს გაურკვეველი დროით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უკვე ათი წელიწადია მუშაობს აგრესიის განსაზღვრისათვის. მაგრამ ამ მიზნით დაარსებულმა კომიტეტმა დღემდე ვერ შეასრულა დაკისრებული ამოცანა — ვერ დაუზუსტა დრო, თუ როდის განაახლოს გენერალურმა ასამბლეამ მუშაობა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

△ **ლონდონიდან** ადენს ჩავიდა ინგლისის უპორტფელო მინისტრი ლორდი შეელტონი. ამას იუწყება ადენიდან ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

საკდესის კომენტატორი ი. ბისოვსკი წერს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის უეცრად წასვლამ ადენიდან, სადაც იგი ჩავიდა, რათა გამოეკვლია ინგლისის ამ კოლონიის მდგომარეობა, დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის დიპლომატიას ამ რაიონში. მისიის წევრთა განცხადებამ, რომ სამხრეთ არაბეთის ფედერაცია ფაქტიურად ინგლისის კოლონიაა, მარიონეტული მთავრობა კი არავის წარმომადგენელი არ არის, ალიაქოთი გამოიწვია ინგლისის მთავრობის წრეებში.

სწორედ ამით აიხსნება ლორდ შეელტონის სასწრაფოდ გამგზავრება ადენში.

△ **გენერალმა** მაქსუელ ტეილორმა — ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა საიგონელმა ელჩმა, რომელიც ახლა პრეზიდენტ ჯონსონის სპეციალური კონსულტანტია, მხარი დაუჭირა ვიეტნამის ომის შემდგომ ესკალაციას.

რუტერფორდში (ნიუ-ჯერსის შტატი) გამოსვლისას მან მოუწოდა დანაღმონ ჰაიფონის ნავსადგური „სამხედრო მიზნების“ მისაღწევად. გენერალმა გააშართლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ვიეტნამში.

△ **აპრილის** დამდეგიდან სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქში რეგისტრირებულია ქოლერით დაავადების 50-ზე მეტი შემთხვევა, რომელთაგან ორი სიკვდილით დამთავრდა. ამას საიგონიდან იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲙᲐᲠᲒᲐᲚᲘᲐ

ბერლინი, 13 აპრილი. (საკდესი). სოციალისტმა, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელ ძალებთან ერთად წარმოდგენილი შვეიტანეთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გერჰარდ აქსენმა რადიოსადგურ „დოიჩლანდფუნდერინათვის“ მიცემულ ინტერვიუში, როცა გააანალიზა საგარეოპოლიტიკური ვითარება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI და VII ყრილობებს შორის პერიოდში. ეს, თქვა აქსენმა, უწინარეს ყოვლისა მოხერხდა სოციალისტური სახელმწიფოების ძლიერების მეოხებით, რომლებსაც საბჭოთა კავშირი უდგას სათავეში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მტკიცე და მკაფიო პოლიტიკის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტიკის მეოხებით.

გ. აქსენმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ხელშეკრულებას მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1964 წელს დაიდო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის. მან აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების შესახებ-მისად წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამხედრო დარგში. ორივე ქვეყნის შეხედულებანი სავსებით ემთხვევა საერთაშორისო პოლიტიკის ყველა დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებში. ვ. ულბრიხტისა და ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციების მოლაპარაკებამ, რომელიც ახლახან დაჟმავრდა მოსკოვში, ერთხელ კიდევ დადასტურა, რომ სულ უფრო მტკიცდება საბრძოლო თანამშრომლობის ხაზი გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის მტკიცდება მეგობრობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის.

გ. აქსენმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ბუქარესტის 1966 წლის ივლისის დეკლარაციას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისა და ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმისათვის. აგრეთვე ხელშეკრულებებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლებიც ამა წლის მარტში დადეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა.

გ. აქსენმა თქვა, რომ სულ უფრო იზრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტი და აღნიშნა, რომ ახლა „მსოფლიოს ხალხები, პოლიტიკური პარტიებისა და სხვადასხვა მმართველების მოღვაწენი, მათ შორის კაპიტალისტური სახელმწიფოების მოღვაწენიც სულ უფრო ფართოდ მოითხოვენ დამყარდეს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან“. მსოფლიოს ბევრ პარლამენტში ახლა განხილვის მთავარი საგანი გახდა საკითხი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ვ. ულბრიხტის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, თქვა შემდეგ გ. აქსენმა, იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისი, წესლილი სოციალისტური სახელმწიფოებისა და ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ᲛᲝᲚᲝᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲠᲔᲙᲘᲜᲨᲘ

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). დასავლეთგერმანელმა მრეწველებმა დაიწყეს მოლაპარაკება ჩინეთის თანამდებობის პირებთან იმის შესახებ, რომ ჩინეთში ააშენონ ფოლადსადნობი ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 3 მილიონ ტონა პოდოტქაციას. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტი.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, თუ მხარეები შეთანხმდნენ, ეს პროექტი დაჯდება 600 მილიონი მარკა და იქნება „ყველაზე დიდი კონტრაქტი, რაც კი დღემდე დადებულა ჩინეთსა და დასავლეთ ევროპას შორის“. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის უზრუნველყოს კრედიტი 300 მილიონი მარკის ოდენობით.

„ევროპიდან ჩინეთში ჩავა დაახლოებით 300 ტექნიკური სპეციალისტი, რათა დახმარება გაუწიონ ქარხნის აშენებაში“, — აღნიშნულია ცნობაში.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲛᲙᲠᲘᲒᲔᲑᲘᲐᲜ

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). ნიგერიის აღმოსავლეთი ოლქის სამხედრო გუბერნატორმა პოდოლოკოვნიმა ოდუმეგეგუ ოჯუკუმ განაცხადა, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს ნიგერიის ლიდერთა თათბირში, რათა მოწესრიგდეს ნიგერიის ახლანდელი კონსტიტუციური კრიზისი.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლაგოსიდან იტყობინება, გუბერნატორმა ეს განაცხადა გუშინ აღმოსავლეთ ნიგერიის დედაქალაქ ენუგუში.

აბურში (განა) იანვარში გამართული ნიგერიის ყველა სამხედრო ლიდერის პირველი თათბირის შემდეგ ოდუმეგეგუ-ოჯუკუმ უარს ამბობდა დაემყარებინა პირდაპირი კონტაქტები ნიგერიის ფედერალურ სამხედრო მთავრობასთან და ფაქტიურად ბოიკოტი გამოუცხადა ნიგერიის სამხედრო ლიდერთა ყველა მომდევნო თათბირს.

ᲞᲝᲢᲝᲒᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

ინგლისი. ეს ბეტონის „ტოტემები“ (სურათზე ზემოთ, მარცხნივ) ლონდონელმა მოქანდაკემ უილიამ მიტჩელმა შექმნა. დაკვირდით კარგად — როგორ მგვანან ისინი ინდურ სიმბოლოებს. თვითეული ქანდაკების სიმაღლეა 5 მეტრი და ხუთ ტონას იწონის. „ტოტემები“ შესრულებულია წითელ-შავ და რუხ ფერებში.

ნიდერლანდი. ეს გიგანტური „კვერცხი“, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ საავტომობილო გზას ამშვენებს, დიდხანს მხოლოდ ადგილობრივი მეფრინველეობის წარმოების სიმბოლოს წარმოადგენდა. ახლახან მას პრაქტიკული დანიშნულებაც გამოუნახეს — მასში გაიხსნა რესტორანი ავტომობილისტებისათვის. როგორც ხედავთ (მარცხნა ქვემო სურათი), მოგზაურებს საუზმის მირთმევა შეუძლიათ მანქანიდან გადმოუსვლელად.

ინგლისი. ათასობით ფრინველი დაიღუპა ტანკერ „ტორი კანიონიდან“ გადმოღვრილი ნავთობით გაბინძურებულ წყალში. ახლა ათასობით ჯარისკაცი, მეხანძრე და მოხალისე მონაწილეობს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროების გაწმენდაში. ცდილობენ გადარჩინონ ფრინველები.

მარჯვენა ზემო სურათზე თქვენ ხედავთ, თუ როგორ რეცხავენ ცოცხლად გადარჩენილ ფრინველებს ნავთობისაგან.

ფრ. ფერმერი, რომელმაც ეს ორიგინალური „ეტლი“ გაიწყო, დიდად კმაყოფილია. მართალია, მის ტრანსპორტს სულ ერთი ცხენის ძალა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ მას აღარც წვიმა აშინებს და აღარც თოვლი. (საკდესის ფოტოქრონიკა).



ᲚᲘ. ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ბონტვიდეო, 13 აპრილი. (საკდესი). ამერიკის სახელმწიფოთა მეთაურებია პუნტა-დელ-ესტის თათბირისათვის მომზადებულ სიტყვაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა მოუწოდა მათ შექმნან „ლათინური ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი“. თუ ლათინური ამერიკის ქვეყნები თანახმა იქნებიან შეიქმნას ასეთი „საერთო ბაზარი“, განაცხადა პრეზიდენტმა, ვთხოვ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს „მნიშვნელოვანი სახსრები“ გამოყოს იმისათვის, რომ „გააადვილოს“ ლათინური ამერიკის ქვეყნების იმტვგრირებული ეკონომიის შექმნაო. ჯონსონის სიტყვა სავსე იყო სხვა მრავალსაღმოქმედო დეკლარაციებითაც იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან „დაეხმარონ“ ლათინური ამერიკის ქვეყნებს ყველა დარგში — სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციით დაწყებული და რადიოგადაცემათა ცენტრის შექმნით დამთავრებული.

„ᲕᲔᲡᲢ-ᲡᲐᲘᲓᲘᲡ“ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ნიუ-იორკი, 14 აპრილი; (საკდესი). გუშინ დღისით, მზისით ნიუ-იორკის ვესტ-საიდის საზღვაო ნავსადგურის მკაცრად დაცულ უბანში შევიდა ოთხი შეიარაღებული უცნობი, ზედიზედ განაიარაღა და შებოჭა მცველები და მიიმალა. თან წაიღო „სუვენირად“ ხის ყუთი, რომელშიც საზღვარგარეთ გასაგზავნი 620 ათასი დოლარი ღირებულების ფულადი დოკუმენტები იყო.

ვესტ-საიდის მსგავსი ამბები ხშირად მეორდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამავალითად, რამდენიმე დღით ადრე ნიუ-იორკის კენედის საერთაშორისო აეროპორტში მკაცრად დაცული შენობიდან სრულიად უადვილად გაქრა ჯერ 420 ათასი დოლარი, შემდეგ კი 40 ათასი დოლარი ღირებულების

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗᲐᲜ

ტელეფონი რომ ჩვენი დროის საოცრებაა, მტკიცებას არ საჭიროებს, ისიც ეჭვშარიტებაა, რომ საქმიანობას გვიადვილებს და დროის კონომიას გვაძლევს. მაგრამ ყოველთვის ასეა? აბა დავფიქრდეთ...

ერთხელ შეეცადე დირექტორ კლაინისათვის დამერეკა.

— ალო! გისმენთ დირექტორ კლაინის პირადი მდივანი!

— შეიძლება დირექტორთან საუბარი?

— საქმეზე თუ...?

— თქვენ გელაპარაკებათ ლემკე. საქმე ეხება გეგმების შესრულებას.

— ერთი წუთი მოითმინეთ!

ხუთი წუთის შემდეგ მდივნის ნაზი ხმა ისმის:

— ალო! მე მხოლოდ ახლა გავიგე, რომ დირექტორი სამი კვირაა სამოგზაუროდ წასულა.

რა უნდა მეპასუხა?! მაგრამ მე ასე ადვილად თავიდან ვერ მოშიცილებ. დიდი ვაგლახის შემდეგ, როგორც იქნა, გავიგე დირექტორის სახლის ტელეფონის ნომერი და მეორე დღეს ბინაში დავუურეკე; ყურმილში მამაკაცის ბოხი ხმა გაისმა:

— ალო!

— დირექტორი კლაინი ბრძანდებით?

ამის შემდეგ მამაკაცის ხმა საშიოქტავით იცვლება და მესმის:

— არა, მე დირექტორის ვაჟიშვილი ვარ. ახლავე დედას დავუძახებ.

— ალო! გისმენთ ქალბატონი კლაინი!

— თუ შეიძლება სთხოვეთ ბატონ დირექტორს! ერთი წუთით ქალის ხმა ყოვნდება და შემდეგ:

— რა გნებავდათ მასთან?

— ეს საქმეს ეხება!

— ჩემი მეუღლე საბაბაზანოშია. არ შეგიძლიათ რამდენიმე დღის შემდეგ დარეკოთ?

— არა, ქალბატონო, მაპატიეთ, ეს საჩქარია, მე დავიცდი...

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ქალის ხმა ისმის:

— ალო! ჩემს მეუღლეს დრო არა აქვს. ეს-ეს არის რაიკომში გამოიძახეს.

— ღმერთო ჩემო, როგორ, რაიკომში შიშველი წავიდა?

ასე, რა თქმა უნდა, არ უნდა მეთქვა; ქალბატონი კლაინი აღშფოთდა და ყურმილი დაკიდა.

ცოტა მოგვიანებით მე მაინც შევძელი დირექტორ კლაინთან დაკავშირება. პირად მდივანს ვუთხარი:

— თქვენ გელაპარაკებათ ფინანსთა მინისტრი, სთხოვეთ დირექტორს!

დირექტორს წუთიც არ დაუყოვნებია.

— გისმენთ დირექტორი კლაინი!

— ბოდიში, ბატონო კლაინ! დრო გაქვთ მისმენოთ?

— დიახ, დიახ! რასაკვირველია!

— მე თქვენი პირადი მდივანი შეცდომაში შევიყვანე. არავითარი ფინანსთა მინისტრი არა ვარ. ლემკე გახლავართ განყოფილებიდან, გეგმების შესრულებაზე სასწრაფოდ მჭირდება თქვენთან საუბარი, — ამის თქმა ძლივს მოვასწარი, რომ აღარაფერი ისმოდა.

— ალო! ალო! არაფერი ისმის... ყურმილში უცნაური ხრიალის შემდეგ ნათლად მომესმა დირექტორ კლაინის ბოხი, ხრინწიანი ხმა:

— ხაზი დაზიანდა, დარეკეთ ხელმეორედ.

ამის შემდეგ აღარ მიცდია უფროსისათვის დამერეკა.

გერმანულიდან თარგმნა

ნაზი იმნაიშვილმა.

ᲒᲐᲠᲒᲐᲠᲝᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

„დაიღუპა ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებები“, „ზარალი მილიონნახევარ მარკას უდრის“ — ასეთი სათაურებითაა აჭრელებული დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის გაზეთები. სტიქიურმა უბედურებამ კი არა, დასავლეთ ბერლინის საბაჟოს მოხელეთა უვიცობამ გააუფასურა და გაანადგურა გრაფიკული ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებები.

გასული წლის შემოდგომაზე დასავლეთ ბერლინის შარლოტენბურგის რაიონის ხელოვნების საკითხთა სამმართველომ მოაწყო გამოფენა „თანამედროვე გრაფიკის ახალი შიმართულებანი“, რომელზეც წარმოდგენილი იყო უძვირფასესი გრავიურები, ესტამპები და ლითოგრაფიები, აგრეთვე წიგნების იშვიათი გამოცემები. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მუზეუმებმა და კერძო მფლობელებმა დასავლეთ ბერლინში მეტწილად უნიკალური ნაწარმოებები გამოგზავნეს. გამოფენას უდიდესი წარმატება ჰქონდა. მრავალი თხოვნისა და განაცხადის გამო გადაწყვიტეს ეს გამოფენა შვეიცარიაშიც ეჩვენებინათ.

სწორედ აქ დაიწყო ყველაფერი. დასავლეთ ბერლინის საბაჟოს მოხელეებმა მეტისმეტი გულმოდგინება გამოიჩინეს და 120-ზე მეტ ოშვიათ გრავიურას, გრაფიკულ ნახატსა და წიგნების ძვირფას ეგზემპლარებს დასავლეთ ბერლინის საბაჟოს დიდი, შავსალბაიანი ბეჭედი დაარტყეს. ბევრ ექსპონატს წინა მხარეზე დაარტყეს ბეჭედი; წიგნები კი „გულმოდგინე მოხელეებმა“ თოკით გაკერეს.

ხელოვნების იშვიათ ნაწარმოებებს გამოუსწორებელი ზარალი მიაყენეს. მთლად გააფუჭეს ისეთი გამოჩენილი გრაფიკოსების ნამუშევრები, როგორიც არიან ტულუზ-ლოტრეკი, კოლვიცი, მატისი, კორინტი, გოგენი.

ახლა ჯერ კიდევ ძნელია თქმა, თუ რით დამთავრდება ეს სკანდალი. მაგრამ დასავლეთ ბერლინის შარლოტენბურგის რაიონის ხელოვნების საკითხთა სამმართველოს უფროსი ებერჰარდ კნიხი

ჩვენს არე-მარეში



გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

სკოლის ახალი შენობა

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). დიდი სოფელია ნაფიჩხოვო. კოლმეურნეობა, რომელიც კარლ მარქსის სახელს ატარებს, ერთ-ერთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელია ჩხოროწყუს რაიონში.

საშუალო სკოლა შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული. და აი კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. კვირკველია) გადაწყვიტა თავისი სახსრებით აეშენებინა საშუალო სკოლის შენობა.

ამ დღეებში სოფლის მშრომელებმა, პედაგოგ-მასწავლებლებმა და შოსწავლეებმა იზეიმეს საშუალო სკოლის გახსნა.

„წყალტუბოს“ მეორე კორპუსი

წყალტუბო. (საკ. კორ.). საექსპლოატაციოდ გადაეცა სანატორიუმ „წყალტუბოს“ მეორე კორპუსი, რომელსაც 60 საწოლი აქვს. თვითეული პალატა ორსაწოლიანია, ყველა ოთახში მოწყობილია საშხაპე, ტუალეტი.

მკითხველის კალმით

□ ტყვარჩელში მცხოვრებმა მწერალმა-დრამატურგმა ანდრო ჟვანიამ უკვე სამი დრამატული ნაწარმოები გამოაქვეყნა უკრაინულ ენაზე ჟურნალებში „ვიტჩიზნაში“ და „დნიპროში“. ამ რამდენიმე ხნის წინათ ა. ჟვანიამ თავისი ახალი დრამატული პოემა „უკრაინის გეგი“, რომელიც პოეტი ქალის ლესია უკრაინკასადმია მიძღვნილი, დაამთავრა და ოლექსა ნოვიცკის გაუგზავნა კიევში.

კლ. ბარძაია.

□ ბორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ და ქალაქის სალიტერატურო წრემ გამოაცხადეს კონკურსი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებები დაიბეჭდება საქალაქო და რაიონული გაზეთის „გამარჯვების“ ფურცლებზე, ავტორებს მიეცემათ წამახალისებელი პრემიები.

ალ. ტაბატაძე.

სურათზე: მშენებელი გოგონები.

ფოტოტეტიუდი ს. კილაძისა.

დიდი ეროვნული საქმე

გვესაუბრება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ი. ბ. აბაშიძე

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს პროფ.-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს ეპასუხა ენციკლოპედიის გამოცემისათვის მზადებასთან დაკავშირებულ რამდენიმე კითხვაზე.

— მრავალტომიანი ქართული ენციკლოპედია, — თქვა ი. ბ. აბაშიძემ, — სოციალურ-ეკონომიური, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური ცოდნის სისტემატიზებული კრებული, უნივერსალური მეცნიერული ცნობარი იქნება, რომელიც გააშუქებს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა მხარეს. ენციკლოპედიამ ფართოდ უნდა ასახოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და აწმყო. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ასახავს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ზოგადკაცობრიული კულტურისადმი, როგორც ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მთელი საუნივერსალმი.

ჩვენ მკითხველთა ფართო წრეს მეცნიერების თანამედროვე დონეზე და გასაგები ფორმით უნდა მივაწოდოთ ცოდნის სისტემატიზებული კრებული, საინფორმაციო-საცნობარო მასალა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას ექნება არა მარტო შემეცნებითი, არამედ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. მან ხელი უნდა შეუწყოს მკითხველთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

სისტემატიზაცია და განზოგადება, ენციკლოპედიური ცოდნის განვითარება, — აღნიშნავდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — ემთხვევა საზოგადოების განვითარების, პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს. სწორედ ქართველი ხალხის ისტორიულმა მიღწევებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო აყვავებამ, მეცნიერთა კადრების სწრაფმა ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა მოგვემზადებინა ისეთი პასუხსაგები უნივერსალური გამოცემა, როგორიც ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაა.

ამბობენ, უნივერსალური ენციკლოპედიები ერის კულტურის ხაზომიაო. თუ ეს ასეა, ჩვენი ენციკლოპედია ქართველი ხალხის კულტურული სიმწიფის თავისებური ატესტატი უნდა იყოს.

საბჭოთა ენციკლოპედიურ გამოცემებში ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიულ წარსულსა და აწმყოს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა საშუალებას მოგვცემს შევეხოთ განუზომლად მეტ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიას, მისი სახელმწიფოებრიობის, ხალხო მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარებას, ფართოდ იქნება გაშუქებული ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავი ძეგლები, ჭეროვანი უურადღება დაეთმობა ამ საუნჯეთა შემქმნელებს, განსაკუთრებით ფართოდ აისახება ქართველი ხალხის ისტორიული მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ენციკლოპედიური და ლექსიკოლოგიური შრომების გამოცემას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ ბერძნულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ და ისტორიულ-ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა ძველ თარგმანებს ერთოდა ხოლმე ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებანი. განსაკუთრებით მდიდარია ენციკლოპედიური კომენტარებით XI-XII საუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურა (იერემია მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი). რასაკვირველია, განსაკუთრებით უნდა შევეხოთ გამოჩენილი მწერლისა და მოაზროვნის სულხან საბა ორბელიანის (XVIII საუკუნის დამდეგი) „ქართულ ლექსიკონს“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა, იოანე ბატონიშვილის (XIX საუკუნის დამდეგი) „კალმასობას“ და ზოგიერთ სხვა ნაწარმოებს. ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად სამართლიანად ითვლება რვატომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფუნდამენტური გამოცემა, რომელიც 1964 წელს დამთავრდა.

მაგრამ თანამედროვე ტიპის უნივერსალური ენციკლოპედია საქართველოში პირველად გამოდის.

ქართველ მეცნიერებსა და შემოქმედებითს ინტელიგენციას წილად ხვდა დიდი პატივი და პასუხისმგებლობა — შეადგინონ ქართველი ხალხის უნივერსალური ენციკლოპედია.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსაცემად რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა მთავარი სარედაქციო კოლეგია და სპეციალური სამეცნიერო რედაქცია. მთავარ სარედაქციო კოლეგიაში შედიან თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. საკმარისია ითქვას, რომ სარედაქციო კოლეგიის 51 წევრიდან 43 საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტია.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დაიბეჭდება 75-80 ათასამდე სტატია. მათი ძირითადი ნაწილი თანამედროვეობას ეძღვნება. სტატიების დაწერა დავალებული აქვთ თვალსაჩინო მეცნიერებსა და სპეციალისტებს.

ენციკლოპედია გამოიცემა 1968-1972 წლებში. ამჟამად მთავრდება მუშაობა მთელი გამოცემის ხიტუვანზე. დაიწყო პირველი ტომის ბეჭდვა, რომელიც უკვე 1968 წელს უნდა გამოვიდეს.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის ამასწინანდელმა სხდომამ მოისმინა მთავარი სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივნის გ. ვ. ყორეულიანის ანგარიში მუშაობის შესახებ, რომელიც სპეციალურმა სამეცნიერო რედაქციამ გასწია განვლილ წელს, შეიმუშავა ენციკლოპედიის შედგენის ძირითადი პრინციპები და დაამტკიცა მომავალი მუშაობის გეგმა. კოლეგიის წევრები გაეცნენ აგრეთვე იმ შრიფტის პროექტს, რომელსაც სპეციალურად ამ გამოცემისათვის ამზადებენ და რომელიც ბევრად უფრო ეკონომიური და კომპაქტურია ახლა გავრცელებულ შრიფტთან შედარებით.

რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნია. ეს მკაფიოდ მოწმობს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ქართველი ხალხის კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, მოწმობს, რომ განუხრელად ხორციელდება პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა. (საქდესი).

ROგორი უნდა იყოს მდივანი

პრაღა. (აას-პრაგოპრესი). ჩეხოსლოვაკიაში მოეწყო... ტექნიკური მდივნების საერთო სახელმწიფო კონკურსი. გამიმარჯვა 27 წლის **გერდა** პოსპიშილოვამ, ორი შვილის დედამ. იგი მდივნად მუშაობს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის სილესიის ინსტიტუტში.

შეკითხვაზე, თუ რას უნდა აკეთებდეს „ნამდვილი მდივანი ქალი“, კონკურსში გამარჯვებულმა უპასუხა:

— თავისთავად იგულისხმება — ბეჭდავდეს მანქანაზე და იცოდეს სტენოგრაფია. მან უნდა შეძლოს აგრეთვე შეცვალოს თავისი უფროსი მისი არყოფნის დროს, იცოდეს მთელი ადმინისტრაციული მუშაობის პრინციპი. იგი ხომ ერთპიროვნულად წარმოადგენს მემანქანეს, ფოსტის მოსამსახურეს, არქივარიუსს, ორგანიზატორს, პირადად მომხსენებელს. ბიბლიოთეკარს, მთარგმნელსა და... ოფიციანტსაც კი.

მდივანი ყველაფერს უნდა აკეთებდეს ღიმილით და სამუშაოზე ყოველთვის კარგ განწყობილებაზე. უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს ადამიანებთან ურთიერთობა, თავშეკავება და სიმშვიდის შენარჩუნება ყველაზე უფრო დაძაბულ მომენტებში. სწრაფად ახდენდეს რეაგირებას ყველაფერზე. იღებდეს გადაწყვეტილებას. იცავდეს წესრიგსა და სისტემას მუშაობაში. შეეძლოს გულისყურის მოკრება და ყველაფრის დახსომება. იგი უნდა იყოს ტაქტიანი, საიმედო, ინიციატივიანი, კეთილი, თავაზიანი, მომთმენი.

მუშაობაში მუდამ ვცდილობ დავიცვა შემდეგი პრინციპი: „კარგი უფროსი თავის გვერდით არ მოითმენს ცუდ მდივანს“.

„მილიარდერის“ საჩუქრები

უკანასკნელ წლებში კრასნოიარსკის მხარის მუზეუმებმა საჩუქრად ძიღეს ფული დიდი რაოდენობით. გულუხვი „მეცენატი“ აღმოჩნდა ფულის ნიშნების კოლექციონერი, სამოცდაათი წლის კრასნოიარსკელი ალექსანდრე ბარსუკი.

კოლექციის შეგროვება მან ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში დაიწყო. იმ დროს რუსეთის ცალკეულ რაიონებში წარმოიშვნენ „თავრობები, რომლებიც საკუთარ ფულის ნიშნებს უშვებდნენ. ამჟამად ალექსანდრე ბარსუკს ქაღალდის ფულის უნიკალური კოლექცია აქვს. მათ შორის არის 1792-1793 წლებში გამოშვებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბანკნოტებიც. ალექსანდრე ბარსუკი მარტოოდენ კოლექციონერი როდია. იგი ცდილობს თავისი ნამუშევარი ხალხთა ფართო მასებს გააცნოს.

კრასნოიარსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმ მან საჩუქრად გადასცა ნუმიზმატიკური კოლექცია „საბჭოთა ჭედურობის ორმოცი წელი“, რომელიც საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ყველა დროის თითქმის ყველა მონეტას შეიცავს. მას განზრახული აქვს თავისი ძირითადი კოლექცია სახელმწიფოს გადასცეს. (ახალი ამბების საააგენტო).

ცნობისმოყვარეთათვის

უჩვეულო სტუმრები

თუთიყუშის სამშობლო... მოსკოვის ოლქია. საკვირველია, არა? სამი ჯიშის თუთიყუში გამოჰყავო ლენინგრადის რკინიგზის სადგურ პლანერნაიაში, შემდეგ უგზავნიან ზოოლოგიურ მაღაზიებს. მომწყანო-მოყვითალო თუთიყუშები კი აქედან შორს გამოიჩეკნენ. სამონადირეო მთავარი სამმართველოს ზოოლოგიური გაერთიანების ცენტრალური ბაზის დირექტორმა ივანე სერგეისძე კირილოვმა მითხრა, რომ ეს თუთიყუშები ჩვენში ამერიკიდან შემოიყვანეს. იქიდან პირველად ჩამოიყვანეს აგრეთვე „ქლდის“ თუთიყუშები. თუთიყუშთა კიდევ ერთ პარტიას ელიან გვინეიდან. იმისათვის, რომ დაიპირონ და ჩვენში ჩამოიყვანონ თუთიყუშები, უნდა დაელოდონ იმ კვირებს, როცა გვინეაში ჯერ კიდევ არ დაწყებულა წვიმების პერიოდი, ჩვენში კი ზაფხული დაიწყო.

ზოოლოგიურ ბაზაში თავს იყრის დედამიწის ყველა კუთხის ცხოველთა და ფრინველთა გზები. შუა აზიის ტრრები ხარკოვის ზოოპარკში გაგზავნეს, გვინეის შიმპანზე დარჩა მოსკოვში და გამოდის მოსკოვის ცირკის არენაზე მომთვინიერებლის ვალენტინა ივანოვას ხელმძღვანელობით. ზოოლოგიური ბაზა ასრულებს ჩიკაგოს ზოოპარკის ნიანგების, ტროპიკული ბადური პითონების, კუბის ბაყაყებისა და გომბეშოების სასტუმროს როლს. ზოოლოგიური ბაზის მუშაკებს სამე აქვთ ხოლმე თვით სპილოებთან და ბეჰემოთებთან.

მოსკოვის ზოოგპარკში

ახლახან აქედან ჰოლანდიაში გაგზავნეს ორი ლამაზი ჯიქი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოთხი მაჩიზლარის შემდეგ გაემგზავრნენ მტაცებელი მთის არწივები და ფასკუნჯები. კაკაბი დიდხანს არ დარჩენილა ბაზაში და მალე იტალიის „გაფრინდა“. ახლა აქ ელიან თეთრი დათვის ბელებს და ზღვის ლომებს ჩრდილოეთიდან.

ა. დულუნსკაია.

ბაზაშხული დადგა. ცხელი ქვეყნებიდან გამოემართნენ ფრინველთა გუნდები. ქალაქში მერცხლები გამოჩნდნენ. მზრუნველობით იკეთებენ ბუდეებს სხვა ფრთოსნებიც.

ეს სურათი რედაქციას გამოუგზავნა ფოტოკორესპონდენტმა ე. ბელაშოვმა და უწოდა მას „ფარუკაბები მოფრინდნენ“.

ასეთი რამეც ხდება — მაისურა—მახე

ასეთი შემთხვევა მართლაც იშვიათია. ეს მოხდა ჩრდილოეთ ოსეთის მოზდოკის რაიონის სოფელ კიევსკში კოლმეურნე მარიამ ტოკარევას ეზოში. გარეცხილი თეთრეული მან გარეთ დაფინა. კარგი ამინდი იყო, და გადაწყვიტა ღამითაც დაეტოვებინა. დილით ასეთი სურათი გადაეშალა: ნაწილი თეთრეულისა მიწაზე ეყარა, ხოლო მავთულზე ჩამოკიდებული იყო... მელა. მტაცებელი მკვდარი იყო. იგი მაისურაში გახლართულიყო. თავისებურ ბარაყებში მოხვედრილიყო წინა თათებით, უკანა თათებით კი მიწას ეეღარ დასწვდომოდა. („სელსკაია ყიზნ“).

ავფეთქება მედეოს ხეობაში

ალმა-ატა, 14 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს დილის 11 საათზე ადგილობრივი დროით ალმა-ატის მახლობლად მაღალი მთის მედეოს ხეობაში გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა. ტროტილისა და ამონიტის მძლავრმა მუხტმა ხეობის გრანიტის მარცხენა ფერდობს მოგლიჯა კლდის უზარმაზარი ქანი. მაღლა ატყორცნილი ეს უზარმაზარი მასა ჩავარდა ღვარცოფსაჭერ კაშხალში რათა მოაღწიოს საპროექტო ნიშანს — დასტოლობით 30 სართულიანი სახლის სიმაღლეს.

ინჟინრების გამოანგარიშებით, ეს ღვარცოფსაწინააღმდეგო მოწყობილობა ყაზახეთის დედაქალაქს დაიცავს მესაძლო კატასტროფული ღვარცოფული ნაკადებისაგან.

ROგორი ბილეთი

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანი ცნობილია, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი. ბაკურიანელ ბალნეოლოგებს ბევრი ავადმყოფი ეხმარებოდა ფეხბურთის ბილეთის ფასიანებლად ყიდვაში. ბილეთი ფასიანია, ოღონდ ფასი ბევრ ადამიანს ეკარგებოდა. ბაკურიანელ ბალნეოლოგებს ეს ფასიანი ბილეთი ეკარგებოდა. ბაკურიანელ ბალნეოლოგებს ეს ფასიანი ბილეთი ეკარგებოდა.

ტელევიზია

15 აპრილი

16.55 — გადაცემათა პროგრამა. 17.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 17.30 — გადაცემა ოქტომბრელთათვის — „ჩხირკედელას სახელოსნო“, 17.55 — კინონარკვევი, 18.25 — „ისინი იბრძოდნენ შენი ბედნიერებისათვის“ — პეტრე არველაძე. 18.40 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „პელენგატორი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.00 — მარიატიურების სატელევიზიო თეატრი — „საღამო მშვიდობისა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 20.05 — ო. ... რაინისა და ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების კინოთესტივალის საზეიმო დახურვა. 21.00 — კინონარკვევი, 21.10 — „საღამოს პანორამა“ — სატელევიზიო ცნობათა ბიურო. 21.50 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 22.10 — „უბური მუსიკალური კინოკომედია „ერთი დღე ჩვენს ეზოში“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის).

16 აპრილი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციათა ათვალთალი. 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.30 — „ჩვენ ესწავლობთ ინგლისურს“ (მერეკი ... გამეორება). 11.55 — მხატვრული ფილმი „პამირის შვილები“. 16.25 — გადაცემათა პროგრამა. 16.30 — „მუსიკალური ალბომი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 17.00 — „სოფლის „კლუბი“ — საბჭოთა კავშირის სოფლის მშრომელთა ფესტივალი — ამერიკაკავკასიის რესპუბლიკები (გადმოცემა მოსკოვიდან). 18.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 19.00 — ლიტერატურული გადაცემა — „ჩვენი კალენდარი“. 20.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცვლილ მიგლინებაში“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები). 20.30 — კონცერტი — „ვისმენთ პირველად“. 21.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.30 — კინოკომედია „ხოჯა ნასრედინის 12 სიფლავი“. 22.55 — გადაცემათა პროგრამა 17 აპრილისათვის. 23.00 — ეთერშია ახალგაზრდობა — „ჰორიზონტი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან).

თეატრები

15 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მღერის ენინკო მასიასი (საფრანგეთი) საესტრადო ანსამბლის თანხლებით. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხოგაის მინდია (პრემიერა). მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რომეო, ჯულიეტა და წყეულიადი (პრემიერა). ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სილვა, ანკულტურის — ალფ პარნასი იხურება, მოზარდ მაყურებელთა ქართული — რომეო, ჯულიეტა და წყეულიადი (№ 25 აბონ. დილის 10 ს., № 5 აბონ. დღის 3 ს. და 30 წ., № 3 აბონ. საღ. 6 ს.).

ჩაკვლეთ, რა ეოვისეირთ

ქარგი დასაწყისი

ბუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა სტარტი აიღეს. შედგა პირველი წრის პირველი ტურის ექვსი მატჩი.

ხელბურთელთა თბილისის ტურნირი ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და ალმა-ატის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდებმა გახსნეს. ვილნიუსელები ორივე ტაიმში ინარჩუნებდნენ უპირატესობას და წარმატებაც მათ ხვდათ 14:8 (10:4). მოსკოვის „ლუჩის“ ქალთა გუნდმა დაამარცხა ტაშკენტის „ტექსტილშჩიკი“ 21:8 (11:3), კიევის „სპარტაკმა“ — ოდესის „ლოკომოტივი“ 12:11 (6:6).

ვაჟთა გუნდებს შორის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის თბილისის „ბურევესტნიკისა“ და რიგის „დაუგავა.“ შეხვედრა. ანგარიში მე-2 წუთზე ცერცვაძემ გახსნა, ამას მოჰყვა ბარტუშუნასა და ცერცვაძის კიდევ ორი გოლი. მე-15 წუთიდან ინიციატივა მთლიანად თბილისელთა მხარეზე იყო, მათ მოიგეს პირველი ტაიმი 16:6, ხოლო მატჩი — 31:24.

„ბურევესტნიკიდან“ ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს — ცერცვაძემ — 10, ზარდალიშვილმა — 7 და ზხაკაძემ — 6.

ვაჟთა გუნდების დანარჩენი ორი მატჩის შედეგები ასეთია: სკა (ლვოვი) — სკა (კიევი) 19:15 (10:5), „სპარტაკაი“ (მოსკოვი) — მაი (მოსკოვი) 19:18 (9:7).

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები. თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდება მოსკოვის მაი-ს.



ტურნირი პალერმოში

სიცილიის ქალაქ პალერმოს ჩოგბურთის ჭლუბი ოცდაშვიდჯერ აწყობს დიდ საერთაშორისო ასპარეზობას ჩოგბურთში უძლეველესთა მონაწილეობით. ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა სპორტსმენები პირველად გამოდიან. მათ რიგებში არიან სსრ კავშირის ჩემპიონები **გ. ბაკშეევი** და **ა. მეტრეველი**, აგრეთვე **თ. ლეიუსი** და **ს. ლიხაჩოვი**.

ერთეულთა ასპარეზობის სტარტზე გამოვიდა 52 ვაჟი და 19 ქალი, რომელთა შორის არიან მსოფლიოში ცნობილი ჩოგბურთელები — **ნ. პეტრანჯელი** (იტალია), **ო. დავიდსონი** (ავსტრალია), **რ. კრიშნანი** (ინდოეთი), **ლ. ტერნერი** (ავსტრალია), **კ. ჰარტერი** (ამერიკის შეერთებული შტატები) და სხვ.

სტარტი საბჭოთა სპორტსმენებისათვის ჩინებული აღმოჩნდა. პირველ ორ დღეს **ა. მეტრეველმა** ორი გამარჯვება მოიპოვა. მან ჯერ დაამარცხა მასპინძელთა წარმომადგენელი **მ. მორგანი** 6:2, 6:2, შემდეგ კი მოუგო იტალიის მე-13 ჩოგბურთელს **ფ. ჯორდანოს** 8:6, 6:3. ასევე ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა **თ. ლეიუსმა** და **ს. ლიხაჩოვმა. გ. ბაკშეევს** პაექრობა ჰქონდა ავსტრალიელ ჩოგბურთელ **ჯ. მასლენთან.** აქაც წარმატება საბჭოთა ჩოგბურთელს ხვდა ანგარიშით 6:1, 6:1.

ვაჟთა წყვილებში საბჭოთა კავშირიდან გამოდიან **ა. მეტრეველი** და **ს. ლიხაჩოვი.**

რ. ჯინჯიხაშვილი — ჩემპიონი

წყალტუბო. მეთორმეტე ტურში უურადღების ცენტრში იდგა ოსტატების **ჯინჯიხაშვილისა** და **ბლაგიძის** პარტია. მოწინააღმდეგენი ყიამზე შეთანხმდნენ. **ბერაძემ** დაამარცხა **ჯანოევი, გიორგაძემ — მუკნაშვილი.** დანარჩენი პარტიები დადაიდო. გუშინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

ამრიგად, **რ. ჯინჯიხაშვილმა** უკვე გაინაღდა ჩემპიონობა, მას 9.5 ქულა აქვს. უახლოეს მეტოქეებს **გიორგაძესა** და **ბერაძეს** რვა-რვა ქულა აქვთ.

ფეხბურთი *ქრონიკა*

□ **ბელგასტი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში პირველი ქულა მოიპოვეს ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებმა, რომლებმაც შინ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა უელსის ნაკრებთან — 0:0. დანარჩენ სამ მატჩს ირლანდიელები — მერვე შესარჩევი ჯგუფის აუტსაიდერები — გამართავენ მოწინააღმდეგეთა მოედნებზე — ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში. ახლა ამ ჯგუფში ლიდერობენ მსოფლიოს ჩემპიონები — ინგლისელები, რომლებმაც 4 ქულა მოაგროვეს ორ თამაშში. კვირას „უემბლის“ სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონები ხვდებიან შოტლანდიის ნაკრებს, რომელმაც მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა ორ მატჩში.

□ **ციურიხი.** მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ — ფეხბურთელთა მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორმა — წამოაყენა 1970 წლის ტურნირის შემდეგი რეგლამენტი. საზეიმო გახსნა — 24 მაისს, ჯგუფებში შეხვედრები — 26 მაისიდან 4 ივნისამდე, მეოთხედფინალური მატჩები — 7 ივნისს, ნახევარფინალური მატჩები — 10 ივნისს, მატჩი მე-3-4 ადგილებისათვის — 13 ივნისს, ხოლო, ფინალური მატჩი 14 ივნისს. მასპინძლები მეორე ეადასაც გვთავაზობენ — 31 მაისიდან 21 ივნისამდე. ჩემპიონატის საბოლოო რეგლამენტი დამტკიცდება ამა წლის 2 ივნისს მიუნხენში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე.

□ **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიელი მანუელ ფრანციასკო დოს სანტოსი-გარინჩა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის სამჯზის მონაწილე — ტოვებს სანპაულოს „კორინტიასის“ გუნდს, რომელშიც იგი ბოლო დროს თამაშობდა. გარინჩასა და ამ კლუბს შორის უთანხმოება დაიწყო მას შემდეგ, რაც სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა შეწყვიტა წვრთნაზე სიარული და გუნდის ხელმძღვანელობამ გააუქმა მასთან დადებული ხელშეკრულება.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გარინჩას იმედი აქვს წელსვე ითამაშოს მექსიკის კლუბ „ამერიკაში“, შემდეგ კი, 1968 წლის აპრილში, აპირებს გაემგზავროს ნიუ-იორკს, სადაც დაიწყებს ფეხბურთელი-მწვრთნელის („მოთამაშე მწვრთნელის“) ადგილის ძებნას.

ახლა გარინჩა 32 წლისაა. (საკდესი).

ავსტრალიის რინგზე

სსრ კავშირის მოკრივეთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე ავსტრალიაში. მეორე მატჩში საბჭოთა მოკრივეებს მეტოქე იყო ავსტრალიის ეროვნული ნაკრები. პირველ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ ავსტრალიელებმა თავიანთი გუნდი გააძლიერეს. მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. სსრ კავშირის ნაკრებმა კვლავ გაიმარჯვა იმავე ანგარიშით 10:0.

რაც ლენინიზე სტრიქონით

□ **იტალიის** წყალბურთელთა ნაკრები განაგრძობს ტურნეს საბჭოთა კავშირში. მეორე შეხვედრაც სტუმრებს ლენინგრადში ჭრნდათ საბჭოთა ნაკრებთან. აქაც წარმატება ჩვენს წყალბურთელებს ხვდათ 4:1 (0:0, 2:1, 1:0, 1:0). აოსანიშნავია, რომ ხუთიდან ბურთი გატანილ იქნა ოთხმეტრიანი საჯარიმო დარტყმით. სულ ბელგიელმა მსაჯმა **ბოუენსმა** 8 პენალტი დანიშნა.

□ **ერევანში** გაიმართა სამაგრო შეხვედრა ირანისა და სომხეთის ძალოსანთა გუნდებს შორის. გამარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 5:2. პირველ მძიმე წონაში ერევანელმა **ს. მაკროვმა** ატაცში აჩვენა 150,5 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93. მრეწველობის — 3-20-84, ოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურა რისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03216 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.